

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2014 წლის წლიური ფინანსური ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2014 წლის დაფინანსების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შეადგენდა 5 700 000 ლარს, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან დაიხარჯა 5 689 137,96 ლარი ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 99,81%-ს.

2014 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის თანხა 201 125 ლარის ოდენობით, ფაქტიურად კი დაიხარჯა 185 657,92 ლარი ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 92,31%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი 1).

2014 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების თანხა (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს 219 910,74 ლარს, რაც 9,34%-ით აღემატება დაგეგმილ თანხას.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი 2).